



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #022/19¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ კირაკოზაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორის განმარტებით, რომელიც განქორწინების საქმეში წარმოადგენდა მოპასუხე მხარეს, მოსარჩელის ადვოკატმა მის მიმართ გამოავლინა აგრესია და არაპროფესიონალიზმი. ადვოკატის განმარტებით, მოპასუხე ადვოკატი სხვადასხვა ფორმით ცდილობდა საჩივრის ავტორის მდგომარეობიდან გამოეყვანას. ადვოკატმა განაცხადა, რომ საჩივრის ავტორს თავმოყვარეობა არ ჰქონდა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ბ, გ) და აპეკ-ის 9.4 მუხლის შესაძლო დარღვევაზე. ეთიკის კომისიამ ერთმანეთისგან გამოიჯნა სიტყვიერი შეურაცხყოფა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, კერძოდ, სიტყვიერი შეურაცხყოფა გულისხმობს სხვა ადამიანის დამცირებას, მისი პატივისა და ღირსების შელახვას, გამოხატულს ზეპირი ფორმით. ამასთან, შეურაცხყოფა აუცილებლად გულისხმობს არაეთიკური და ამორალური ფრაზების ხმარებას. პიროვნებისთვის მორალური ტანჯვის გამომწვევი შესაძლოა იყოს სიმართლევც, გამოთქმული ეთიკურობის ფარგლებში, რაც არ უნდა შეფასდეს სიტყვიერ შეურაცხყოფად, თუნდაც ასეთი ფრაზები პირმა აღიქვას როგორც მისი თავმოყვარეობის შელახვა. ამასთან, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება გამოთქვას თავისი მოსაზრებები თავისუფლად, თუ მისი შეხედულებები არ ეწინააღმდეგება მორალისა და ზნეობის საყოველთაოდ დამკვიდრებულ სტანდარტებს. საპროცესო კოლეგიამ გამოიკვლია სასამართლო სხდომის ოქმი, სადაც ჩანს, რომ საჩივრის ავტორი თავის მეუღლეს მუდმივად აყენებს შეურაცხყოფას, უწოდებს – „მეძავს“ და „ლოთს“, რის გამოც ადვოკატს გაუჩნდა ლოგიკური შეკითხვა – „თუ მამაკაცი თავის ცოლს ასეთ უზნეო პიროვნებად მიიჩნევს, რატომ სურს მასთან თანაცხოვრების გაგრძელება. თავმოყვარე მამაკაცი უზნეო ცოლთან ცხოვრებას არ იკადრებს.“ შესაძლებელია, კონკრეტულ ადგილას კონკრეტულ პირთა გარემოცვაში თუნდაც ზოგადი ხასიათის, აბსტრაქტული რეპლიკების გამოთქმამ მაინც შეიძინოს კონკრეტული ხასიათი და ე. წ. „შეფარვით“ გაკეთებულმა, ირიბმა კომენტარებმა პირდაპირ შეურაცხყოფაზე არანაკლები მორალური ტანჯვა მიაყენოს პირს. თუმცა, ამ შემთხვევაში ადვოკატის მიერ გაკეთებული რეპლიკა არ უნდა მივიჩნიოთ ზოგადი ხასიათის, აბსტრაქტულ გამოხატვამად, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს აღნიშნული რეპლიკის გამოთქმისას საჩივრის ავტორის სახელი და გვარი არ უხსენებია და რეპლიკის ადრესატი არ დაუკონკრეტებია, რადგანაც გამოთქმული რეპლიკა სრულად ექცევა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

ადვოკატი სიტყვიერად გამოხატავს სათქმელს, რომელიც ეთიკურობის ფარგლებშია მოქცეული, იგი წინასწარ ვერ განჭვრეტს რა შეიძლება იყოს „შეურაცხყოფელი“ მეორე მხარისთვის. აქედან გამომდინარე, შეურაცხყოფის ფაქტი უნდა შეფასდეს ობიექტური და არა სუბიექტური კრიტერიუმის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადამიანს მორალის და ზნეობის

¹ https://gba.ge/pdf/5e61099d4977e.pdf/022_19%2015.05.19%20ar%20agdzvra.pdf

საკუთარი სტანდარტები გააჩნია, არსებობს დადგენილი მორალი და ზნეობა, რომელიც ყველა ადამიანისთვის საერთო და საყოველთაოდ აღიარებულია. ადვოკატის რეპლიკა გამოხატული არ იყო უწესო ფორმით, არამედ განხორციელდა საყოველთაოდ დამკვიდრებული მორალისა და ზნეობის ფარგლებში. ადვოკატის ზემოთ დასახელებული რეპლიკა მისი სუბიექტური მოსაზრება იყო მორალსა და ზნეობაზე და მიზნად არ ისახავდა საჩივრის ავტორის შეურაცხყოფას.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის არ აღძვრის თაობაზე.